

## საქართველოს კანონი

საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საზღვაო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 25-26, 14 ივნისი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკლასიფიკაციო საზოგადოების ზედამხედველობისადმი დაუქვემდებარებელი მცურავი ობიექტის ტექნიკური ზედამხედველობა ხორციელდება ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული წესით. ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.“

2. 79<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 79<sup>1</sup>

საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპირო ზოლში შემოსული გემების შუქურით მომსახურების ტარიფის ოდენობას ერთობლივად განისაზღვრავენ საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები.“

## მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*